საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-02/34

ქ. ბათუმი 14- თებერვალი, 2023 წ.

,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 8 თებერვლის N01-02/11 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22–ე მუხლის, ბსუ–ს წესდების მე–13 მუხლის, **,,პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის,** ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 20 სექტემბრის N198/ნ ბრძანებით დამტკიცებული "პროფესიული სტუდენტის მობილობის წესის", „პროფესიული სტუდენტის მობილობის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 სექტემბრის №198/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 13 დეკემბრის N135/ნ ბრძანების, ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 02 თებერვლის N01-14/32 ბრძანების (ბსუ-ს რექტორის მივლინების) **და** ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის 2023 წლის 14 თებერვლის №169521 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 8 თებერვლის N01-02/11 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, ბრძანების N1 დანართში (წესი) **შეიცვალოს მე-10 მუხლის მე-14 პუნქტის შინაარსი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

,,14. შეფასების თაობაზე ინფორმაცია პროფესიულ სტუდენტს მიეწოდება პროფესიული მასწავლებლის მიერ შეფასების ჩატარების დღიდან მაქსიმუმ 3 კალენდარული დღის ვადაში. შედეგების გაცნობის დროს დაცული უნდა იყოს პერსონალური მონაცემები. დაუშვებელია კონკრეტული სტუდენტის შეფასება გასაჯაროვდეს ჯგუფში, სტუდენტის თანხმობის გარეშე (სიტყვიერი ან წერილობითი). ასეთ შემთხვევაში ჯგუფში შედეგები უნდა იქნას განხილული განზოგადებულად, ხოლო კონკრეტული სტუდენტის შედეგები - ინდივიდუალურად.".

2. პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრმა უზრუნველყოს ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის გაცნობა პროფესიული სტუდენტებისა და შესაბამისი პერსონალისათვის.
3. წინამდებარე ბრძანებით განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით მომზადდეს კოდიფიცირებული ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი" და განთავსდეს ბსუ-ს შესაბამის ველებში.
4. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
5. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს (თ. სირაძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, იურიდიულ დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია) და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30) მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.

რექტორის მოადგილე, პროფესორი

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი ანზორ ბერიძე